

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის დირექტორის

2020 წლის წლიური ანგარიში

ზუგდიდი

2020

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის (შემდგომში კოლეჯი) 2020 წლის სამუშაოს განხორციელებაში გაანალიზდა კოლეჯის დოკუმენტაცია, რამდენიმე მათგანში შევიდა ცვლილება, ასვე დამტკიცდა ახალი დოკუმენტაცია. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საანგარიშო პერიოდში ზოგიერთი ღონისძიება, სამუშაოთა განხორციელება მიმდინარეობდა/სრულდებოდა ონლაინ მუშაობის ფორმატში. კოლეჯის საქმიანობიდან რამდენიმე მიმართულება შეიძლება გამოიყოს:

1. კოლეჯის პროგრამები:

კოლეჯში მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა გრძელვადიან პროგრამებზე ორი მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: აღმზრდელი და საოფისე საქმე; მოკლევადიან გადამზადების პროგრამაზე ოთხი მიმართულებით ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამები:

- მმართველობითი და აინფორმაციო დოკუმენტებთან მუშაობა;
- ელექტროული ბურალტერია ;

კოლეჯმა დეკემბრის თვეში დაიმატა გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები სასწავლო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა; რომლის დაშვების წინაპირობაა სრული საშუალო განათლება და 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება , პროგრამა საშუალებას იძლევა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მომუშავე პირებმა გაიარონ მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა და აიმაღლონ კვალიფიკაცია .

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია 2018 წლიდან ახორციელებს მოკლევადიან მომზადებაგადამზადების კურსებს და რეგიონში მცხოვრებ ნებისმიერი ასაკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო განათლების მქონე პირს სთავაზობს კოლეჯის მიერ ავტორიზებულ პროგრამებში უფასო მოკლევადიანი კურსების გავლას.

აღნიშნულ პროგრამებზე ჩართვა ბენეფიციარებს საშუალებას აძლევდა მოკლე დროში დაუფლებოდნენ ამა თუ იმ პროფესიის საწყის უნარ-ჩვევებს შემდგომი დასაქმების მიზნით. 2020 წლის პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადდა 22 ბენეფიციარი. აქედან, 17 დასაქმდა კერძო თუ საჯარო სექტორში, რაც პროექტის დადებით და წარმატებულ მხარეს წარმოადგენს.

საოფისე საქმის და აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე აღსანიშნავია, რომ პროგრამების ხელმძღვანელი და პროფესიულ განათლების მასწავლებლები ჩართული იყვნენ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან ერთად დარგობრივი მოდულების გადამუშავებაზე და მოდულების იმ კომპონენტებზე, რომელთა სწავლება შესაძლებელია ონლაინ/დისტანციურ ფორმატში. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შინაარსობრივი ცვლილება შევიდა საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო - დოკუმენტში, რომლის მიხედვით მოხდა ცვლილებებით პროგრამის დამტკიცება. პროფესიული მასწავლებლები ჩართული იყვნენ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი / მიერ ჩატარებულ ღონისძიებაში „როგორ დავგვემოთ და განვახორციელოთ სასწავლო პროცესი ზრდასრულთათვის“ სადაც გაეცნენ სიახლეებს

და მიდგომებს ზრდასრულთა სასწავლო პროცესთან წარმატებით ინტეგრირებაში. სისტემატიურად მიმდინარეობს სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა --ხელშეწყობა, რამაც უზრუნველყო პროფესიულ სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. კოლეჯის A და B გარემოში განხორციელდა მატერიალური რესურსის მონიტორინგი.

2. ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე. ხელმძღვანელობს სასწავლო მარეგულირებელი დებულების თანახმად შეფასება/გადახედვა გაუმჯობესება/დაგეგმვა/განხორციელების უწყვეტი ციკლით და ვზრუნავს კოლეჯის განვითარებაზე.

ხარისხის მენეჯერის ზედამხედველობით განხორციელებული ღონისძიებებია: ახალი COVID 19 ის პანდემიის გამოწვევებს 2020 წლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სათანადოდ გაერთვა თავი. შემუშავებული ონლაინ სასწავლო მიდგომებმა ხელი შეუწყო მოქნილად განხორციელებულიყო სასწავლო პროცესი. გადამზადდა პროფესიული განათლების მასწავლებლები კომპიუტერულ უნარ ჩვევებში რამაც გაადვილა ონლაინ სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში განხორციელებას. კოლეჯმა გააფართოვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ა.ა.ი.პ "სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრთან გაფორმდა ხელშეკრულება ,რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს გადამზადების პროგრამის მსმელების პრაქტიკული კურსის გავლას. ასევე მნიშვნელოვანია დამსაქმებლის ჩართულობა პრაქტიკული უნარ ჩვევების გამომუშავების პროცესში. მართვის ცენტრი ხელს შეუწყობს კოლეჯის მსმენელებს, პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ცოდნის, უნარების გაზიარებას და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ინიციატივით დაევალათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს საჭირო რესურსის კვლევა. წამოდგენილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხებზე წინადადებები და რეკომენდაციები. პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის, რისთვისაც დაიგემა და ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებები როგორცაა: კალენდარული გეგმის შედგენა, შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა განვითარება, ახალ პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება პროფესიული სწავლებისა და შეფასების სისტემის გაცნობა. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ დაიგემა 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად გამოკითხვები, მოხდა მონაცემების ანალიზის შეგროვება და დირექტორთან წარდგენა.

საგანმანათლებლო საქმიანობის და რესურსების შეფასების მიზნით რეგულარულად განხორციელდა მონიტორინგის სასწავლო ცხრილებისა და დასწრების კუთხით.

გაიცა რეკომენდაციები. გამოვლინდა შედეგები რამაც ასახვა ჰპოვა შეფასების ინსტრუმენტის დახვეწადა განვითარების მიმართულებით და შეიცვალა შეფასების ინსტრუმენტის ფორმა.

3. პერსონალი

2020 წლის მანძილზე კოლეჯის თანამშრომლებმა გაიარეს არაერთი ტრენინგი, ონლაინ სწავლების დასაერგად კოლეჯი ჩართული იყო კერძო კოლეჯების მიერ დაგეგმილ ტრენინგებზე ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებზე.

2020 წლის 11 მაისიდან 15 მაისის ჩათვლით , განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით ჩაატარა ტრენინგების ციკლი - ცვლილებები ავტორიზაციის დებულებაში, ავტორიზაციის ახალი სტანდარტები. ამავე ტრენინგების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები შეფასების ვერიფიკაციასა და თვითშეფასებაში. ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ტრენინგებს დისტანციურ რეჟიმში განახორციელებს.

2020 წლის 15 ივლისს კერძო კოლეჯების სასოციაციის მიერ ჩატარდა ტრენინგი- ავტორიზაციის მეხპერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა:

- ➔ მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები
- ➔ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სპეციფიკა
- ➔ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პრაქტიკა პროფესიულ კოლეჯებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით

2020 წლის 7 ივნისს კერძოკოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარდა ტრენინგები

- ➔ ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები

2020 წლის 20 ივლისს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა - ინდირა გიგიბერიამ ჩაატარა ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების შესახებ კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ინსტრუქტაჟი გაიარა ადმინისტრაციი 10 თანამშრომელმა და პროფესიული განათლების 12 მასწავლებელმა. ტრენინგი ეხებოდა შემდეგ საკითხებს :

- ➔ ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები;
- ➔ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები და აკრძალვები შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიებისათვის;
- ➔ სავალდებულო დოკუმენტებისა და ჟურნალების შედგენისა და წარმოების წესი;
- ➔ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების წესი, პერიოდულობა, აღრიცხვა და სწავლების სახე;
- ➔ საევაკუაციო გეგმის შედგენისა და განთავსების წესი;
- ➔ ევაკუაციის განხორციელების და ევაკუირებულთა აღრიცხვის წესი;

➔ შშმ პირების განთავსებისა და ევაკუაციის წესი;

➔ ცეცხლმაქრების ტიპის და საჭირო რაოდენობის განსაზღვრა, მისი გამოყენების, განთავსებისა და შემოწმების წესი;

➔ სავალდებულო აბრებისა და ნიშნების განსაზღვრა და განთავსების წესი.

4. სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა

კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტულ სერვისებს. სტუდენტური სერვისები უზრუნველყოფილი იყო მთელი წლის განმავლობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით, რისთვისაც კოლეჯში შექმნილია სარგებლობის წესები, რომლითაც პროფესიული სტუდენტებისთვის გარანტირებულია ისარგებლონ კოლეჯის სასწავლო რესურსით სარგებლობის საშუალებებით. ჩატარდა არაერთი აქტივობა სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნენ სასწავლო პროცესისთვის სავალდებულო წესებს, უსაფრთხოების წესებს და საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. ახალი COVID-19-ის პირობებში სასწავლო პროცესის განახლებისას სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ მოხდა დამატებით იმ რეგულაციების გაცნობა, რომელიც დაკავშირებული იყო პრევენციულ ღონისძიებებთან. მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა პროფესიული სტუდენტების განცხადებების განხილვა, რომელზე პასუხებიც მიმდინარეობდა კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტაციის შესაბამისად. გარდა აღნიშნულისა წლის განმავლობაში დგებოდა სასწავლო ცხრილი სასწავლო კალენდრის, სასწავლო გეგმების და მოდულური ბაზის შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომი იყო როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის. სასწავლო პროცესის მონიტორინგი მიმდინარეობდა ყოველდღიურ რეჟიმში, ხოლო დისტანციური სწავლების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხოლციელდებოდა ყოველდღიურად ონლაინ პლატფორმაზე და ჩატარებული მეცადინეობების სქრინები ატვირთულია ყველა სპეციალობისთვის შექმნილ ჯგუფში. მოდულური ბაზის და კალენდრის მიხედვით ხდებოდა შეფასების შეფასების ინსტრუმენტებით პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა.

5. დოკუმენტებზე მუშაობა

დოკუმენტბრუნვაზე სამუშაოები მიმართული იყო კოლეჯში შემოსული და კოლეჯიდან გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის, შემოსული დოკუმენტაციის დროული განხილვის, განაწილების, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადებში მათი გაფორმებისა და შესრულების რეგულირების მენეჯმენტის სრულყოფისაკენ, რაც თავის მხრივ, კოლეჯის სხვადასხვა თანამშრომლების გამართული მუშაობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. გადაიხედა და განახლდა, როგორც ადმინისტრაციული, ასევე, პროფესიულ განათლების მასწავლებელთა/პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები, მოხდა სამუშაო აღწერილობების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად ცნობა და თითოეული ხელშეკრულება თავისი შინაარსით გახდა ინდივიდუალური, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე. სამსახურის მიერ უზრუნველყოფილია საქმისწარმოებაში დასრულებილი დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება, საარქივოდ მომზადება და დირექტორის თანხმობით არქივისათვის (შიდა) გადაცემა. 2020 წლის განმავლობაში მომზადდა

ყველა საჭირო ბრძანების პროექტი, მათ შორის პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის და პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის ბრძანების პროექტები.

6. სხვადასხვა აქტივობა

წლის განმავლობაში ეფექტურად ხდებოდა გაწერილი წლიური ბიუჯეტის შესრულება. შედეგად კოლეჯში ინფრასტრუქტურის ნაწილში განახლდა აუდიტორიები და დაემატა საჭირო ინვენტარი /მასალები. ასევე წინასწარ გაიწერა დაიგეგმა მომავალი წლისთვის დასამატებელი ნივთები. „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცებაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 16 თებრვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, საინვენტარიზაციო კომისიამ შესაბამის ვადებში მოახდინა კოლეჯის ბალანსზე არსებული, ძირითადი აქტივების დამატერიალური ფასეულობების დალუქვა, ეტაპობრივად გაიხსნა კომისიის მიერ სრულად მოხდა სასწავლო ოთახებში, კაბინეტებში, სათავსოებში, მატერიალური ფასეულობების აღწერა, გაიმართა კომისიის სხდომა, შედეგების დამტკიცების შესახებ.

IT მენეჯერის მიერ შეფასდა კოლეჯის კომპიუტერული ბაზის, ტექნიკის, ქსელის და ტექნიკური საშუალებები, მიმდინარე საჭიროებები. კოლეჯში შეძენილ იქნა განვითარების გეგმის შესაბამისად კომპიუტერული ტექნიკა. გამოვლინდა ინტერნეტის მიწოდების (ძირითადად არასაკაბელო) ხარვეზები და დაისახა თანმიმდევრული გეგმა ხარვეზების აღმოფხვრისთვის. მოხდა კომპიუტერული ლაბორატორიის კომპიუტერების ოპერაციული სისტემით უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებზე საკაბელო ინტერნეტის ქსელის გაუმართობის გასწორება. მოხდა უკაბელო ინტერნეტის რამდენიმე ჰაბის გადანაცვლება, რათა გაგვეზარდა დაფარვის ფართობი. ამ პერიოდში იყო ინტერნეტის მიწოდების ხარვეზი. ჩავატარეთ ინტერნეტ ქსელის სრული მონიტორინგი. ქსელის ნაწილობრივ გათიშვას იწვევდა მეორე სართულის სასწავლო აუდიტორიაში ჰაბის დამოკლება. ხარვეზი გასწორებულია.

ბიბლიოთეკაში მივიღეთ 4 ახალი წიგნი, რომელიც გატარებულია ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში. საბიბლიოთეკო ფონდი სისტემურად ივსებოდა და ახლებოდა წლის განმავლობაში. დაინტერესებულ პირებს: სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეფექტურად ემსახურებოდა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკიდან გაიცა 40 წიგნი პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე. პროფესიულ სტუდენტებს ვებმარეზობით სასწავლო რესურსის ასლის გადაღებასა და ამობეჭვდაში. პროფესიულ სტუდენტებს გავაცანით საბიბლიოთეკო რესურსები და მათი სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში მომხმარებლისათვის სრულყოფილი მომსახურების გასაწევად ზედამხედველობდი სპეციალურ სამკითხველო დარბაზს.

დაიხვეწა პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის იერსახე. მიმდინარეობდა მუშაობა სტუდენტურ სერვისებზე და შეიქმნა პრეზენტაცია "სტუდენტური სერვისები" პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია: ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე, პროფორიენტაციაზე, კარიერულ მხარდაჭერაზე, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე, ბიბლიოთეკაზე, სასწავლო გარემოზე, სტუდენტურ ორგანიზაციებსა და ღონისძიებებზე. განხორციელდა ჩატარებული ღონისძიების ვიზუალური მასალის

და ვორდინგის დამუშავება სოციალური ქსელისთვის და შემდეგ მათი განთავსება აკადემიის ვებ გვერდზე : www.akademiazug.ge და Facebook გვერდებზე.

დარიგდა საინფორმაციო ფლაერები/ლიფლეტები სადაც მოცემულია არსებული პროფესიული პროგრამების შესახებ სრული ინფორმაცია. განხორციელდა სხვადასხვა დამსაქმებლებთან პროფესიული სტუდენტების შეხვედრა, რომელიც გაიმართა კოლეჯში და ასევე პოტენციური დამსაქმებლების ტერიტორიაზე.

დასაქმების კუთხით ხდებოდა სხვადასხვა კომპანიებთან შეხვედრა, ასევე სისტემატიურად ხორციელდებოდა ფეისბუქ ჯგუფებში დასაქმებასთან დაკავშირებით ინფორმაციის განთავსება, კერძოდ აქტიური ვაკანსიების გაზიარება პროფესიული პროგრამების მიხედვით. კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ხდებოდა არსებული პროფესიული პროგრამების პერიოდული რეკლამირება. მათ შორის ფასიანი რეკლამის გაშვება facebook გვერდზე.

2020 წლის ფინანსურ ანგარიშები

პროფესიული სტუდენტების დაფინანსებამ შეადგინა :	17243
მომზადება/გადამზადების პროგრამებიდან დაფინანსება შეადგინა :	25615
აღნიშნული შემოსავლიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა :	57%
საპენსიო ფონდში გადარიცხული იყო :	1%
მივლინების ხარჯმა შეადგინა :	1%
პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებაზე 2021 წლის მანძილზე ხელშეკრულებების საფუძველზე გადირიცხა :	7%
სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის გაიხარჯა:	1%
მოდულური პროგრამებისათვის მასალა-ნედლეულის შესაძენად :	5%
მოდულური პროგრამების აღჭურვილობის შესაძენად გაიხარჯა :	4%
პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის ტრენინგების ლ.კულტურულ,სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებების ხარჯმა შეადგინა:	0
საკანცელარიო ნივთების შესაძენად გაიხარჯა :	1%
კერძო კოლეჯების ასოციაციაში გადარიცხა საწევრო:	1%
ეფლოუ:	1%
რეკლამის ხარჯმა შეადგინა:	1%
იჯარის ხარჯი იყო:	1%
კოლეჯის კურსდამთავრებულებისთვის დიპლომების დამზადების:	1%
	-
კომუნალურის ხარჯმა შეადგინა.	5%
სხვადასხვა ხარჯი:	10%
სულ ხარჯებმა შეადგინა:	-

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს შესაძლებლობას ითქვას რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია 2022 წლის საქმიანობა ჩაითვალოს დადებითად.

პატივისცემით,
დირექტორი
ნესტანი აბსაგა